



# პრსენალი


ქართული  
მედიის  
საერთაშორისო  
კავშირების  
სამსახური

14 (183), 10 - 23 ივლისი, 2009, საგზაო-სააღრიცხვო ქარტი, ფასი 1,5 ლარი.

**ქსელუზივი:**  
**დედოფინა, უიფილი,**  
**ნიუნტარია" -**  
**ართველი ჯარისკაცი**  
**ფსაზურ ჯარზე...**

**რუსული ბანკის**  
**აფეთქებელი**  
**გამოგვებურს!**

1425  
2009



**საქართველოს**  
**საგარეო**  
**დაწვერვა...**


**კრანგული**  
**ოგალდაბი**  
**საქართველოში**

**ანალსისა-არბანის**  
**სამგზაო ქარტისა**



**ზემო სვითის  
ბრძოლის  
უხსნობი  
ღებალები**

**10**



**„ღაღოვიჩინა,  
შივილი,  
ლიზნებერია“, —  
ქართველი  
ჯარისკაცი  
აუხსნურ ჯარზე**

**17**



**ფრანგული  
სოფლები და  
საქართველო**

**23**

**ფოთის სანაპირო  
დახვის გაზა ჩაქირული  
კაზარლებიდან  
ინჟინდება**

**14**



**საავიაციო  
ქვეყნები  
და  
ცვლიაფრკვევები**

**31**



**„საგანას“  
დაბრუნება...**

**50**

# სარჩევი

## ამჟამაღარი თემა

4 რას მოგვიტანს ახლო მომავალი

## კალენდრული

6 ახალი ამბები

## კალენდრი

9 როგორ ამზადებენ ქართველ სერჟანტებს...

## ავიზორი

10 ხუმო ხვითის ბრძოლის უცნობი დეტალები

## საურთბე

13 ქართული მინა ფეთქებადსაშიში საგნებისაგან სუფთავდება

## მიხს დანაბრები

14 ფოთის სანაპირო დაცვის ბაზა ჩაძირული კატარტებისაგან იზმინდება

## საპარაბიზგათან

17 „დედოფშინა, შიმშილი, დიხენტერია“, – ქართველი ჯარისკაცი აფხაზურ ჯარზე

## ავიზორი

19 თბილისში აგებული თვითმფრინავები

## საზღაურო უიზიტი

23 ფრანგული ხომალდები და საქართველო

## საპროპაგანდა

31 საავიაციო ქვემეხები და ტყვიამფრქვევები

## პარტული ჯარის იმპორტი

36 ახალციხე-არტანის სამხედრო ოპერაცია

## სამსახურები

42 საქართველოს საგარეო დაზვერვა – მითი და რეალობა

## კვირული

46 ავკასიური მოვლენების შიმშილი...

## სიახლე შეიარაღებაში

48 სამხრეთ კორეის სუპერსასაქარო ნაღმოსანი

49 გერმანული ქვეითთა საბრძოლო მანქანა Puma (IFV)

## სტრატეგიული შეიარაღება

50 „სატანას“ დაბრუნება...

## ქრონოლოგი

52 არსენალის მფლობელი

## არსენალის იარაღის მფლობელი

53 ბელგოური „მინიმისა“ და ებრაული „ნეგევის“ გერმანული კონკრეტები – MG4

# კალენდრული სვეტი

2:1 — სწორედ ასეთი ანგარიშით შეიძლება შეაფასო ბოლო თვეებში ჯარისკაცების გადარბენ-გადმობრუნება.

როცა წლის დასაწყისში ახალგორიდან, რუსული საოკუპაციო დანაყოფიდან გამოქცეული უმცროსი სერჟანტი ალექსანდრ გლეზუხი თბილისში იწყობოდა, ქართველმა შესაზღვრებულმა უფროსმა ლეიტენანტმა ალიკა ბუანიამ თავშესაფარი რუსეთის სპეცსამსახურებს სთხოვა. ანგარიში საქართველოს სასარგებლოდ მას შემდეგ გაიზარდა, რაც ოკუპირებული პერევიდან კიდევ ერთი ჯარისკაცი — დმიტრი არტემიევი გამოიქცა და თან ხელს „კალაშნიკოვი“ და 180 ჯანა გამოაყოლა.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განთავსებულ რუსულ სამხედრო დანაყოფებში „დედოფშინა“ გამოფეხული, რასაც შიმშილიც და მკენარებიც ემატება. ასე რომ, გამოქცეული რუსი ჯარისკაცების თბილისში ჩამოსვლა, ეტყობა, კიდევ მისალოდნელია...

*ირაკლი ალადაშვილი  
მიორგი შოროშოიანი*

ჟურნალბა!  
გამოიწერეთ „არსენალი“  
და მიიღეთ შინ,  
ორ ჯვირაში ერთხელ!  
ტელ: 38-26-74;  
38-26-73

რედაქციის დაუეთხავად  
მასალების გადაბეჭდვა  
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად  
6.07.2009

გაზეთ „ჯვირის პალიტრის“  
დამატება ©

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49.  
ტელ: 38-37-47

სარეკლამო განყოფილება:  
ტელ: 37-78-07; 38-78-70 -  
email: arsenal@kvisrpalitra.com  
ჟურნალი გამოდის  
ორ ჯვირაში ერთხელ  
პრასესკვს

# ოზაბა-მადვადის შეთანხმებები...



## ერთ ნელში 20-მდე ერთობლივ საქართველო სწავლებას გამართავენ... საქართველოში კი ისევ ღარიბიან რუსული სოკოპასიო ჯარები!

მოსკოვში 6-8 ივლისს რუსეთის ფედერაციისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრას მთელი მსოფლიო აკვირდებოდა, რადგან ამ ორი ქვეყნის შემდგომ ურთიერთობაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, მათ შორის მომავალი ომების დაწყება-არდაწყება. როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტების შეხვედრაზე ძირითადი თემა ბირთვული სტრატეგიული შეიარაღების შექმნება გახლდათ. მხარეებს მოილაპარაკეს, რომ ახალი ხელშეკრულებების ძალაში შესვლიდან 7 წლის განმავლობაში თითოეულ მხარეს არ უნდა ჰქონდეს სტრატეგიული გადამტანების (ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტები, კონტინენტური ბომბდამშენები) 500-1100 ერთეულზე მეტი, ხოლო მათზე დაყენებული ბირთვული ქობინების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1500-1675 ცალს (თითოეული მხარისთვის).

ბირთვული ქობინებისა და მათი გადამტანი საშუალებების რაოდენობის ზუსტი ზღვარი შემდგომ მოლაპარაკებაზე უნდა დაზუსტდეს.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი მოსკოვში ჩასვლამდე თქვამდა, რომ სტრატეგიული ბირთვული ქობინების მქონე სახელმწიფოებს ზღვარი ათასი ერთეული განსაზღვრებოდა. შეხვედრამდე რამდენიმე ხნით ადრე კი პრეზიდენტმა შედეგებსა და განცხადებას, რომ შესაძლებელია, სტრატეგიული ბირთვული ქობინების მხოლოდ 1500 ცალამდე შექმნა დათანხმდნენ. ჩანს, ამ

საკითხში ოფიციალურმა მოსკოვმა გაიმარჯვა. სხვათა შორის, კრემლი სტრატეგიული შექმნის შეიარაღების შექმნის მომავალ ხელშეკრულებას ყოველთვის უკუშებდა იმ ანტისარაკეტო პროგრამას, რომლის განხორციელებაც აშშ-მა ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბუში-უმცროსის დროს დაიწყო ჩვენთან და პოლანოში.

ობამა-მედვედევის შეხვედრის შემდეგ საჯაროდ არავის დაუფიქსირებია, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა შეიძლება გადახედა წინამორბედის ინიციატივას და დროებით შეაჩერა აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის შესაბამისი პოზიციური რაიონის შექმნა.

არადა, რუსეთის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ თუკი ობამა არ შეაჩერებს ჩვენში რადარის, ხოლო პოლონეთში ანტირაკეტების განთავსებას, სტრატეგიული შექმნის შეიარაღების შესახებ დოკუმენტი უშიშვლოდ დაიწერა და რუსეთი არც ერთ სტრატეგიულ ბალისტიკურ რაკეტასა და ბირთვულ ქობინს არ შეამცირებს.

ამიტომაც ობამა-მედვედევის შეთანხმება სტრატეგიული შექმნის შეიარაღების შესახებ ჯერ კიდევ მყოფა.

საბავშვოდ, ორმა პრეზიდენტმა ნამდვილად მოილაპარაკა აშშ-ის სამხედრო ტვირთის ულანეთში რუსეთის საჰაერო სერვისი გადატანის შესახებ. მართალია, ჯერ კიდევ 2009 წლის მარტში რუსეთის გავლენი რევიდანე შეთანხმებულ რეინვით გა-

დაიტანეს აღმართისთვის განკუთვნილი ამერიკული ტვირთი, მაგრამ ის არასამხედრო დანიშნულების იყო.

ახალი შეთანხმების მიხედვით, რუსეთის საჰაერო სერვისის გაეული 12 ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი ყოველდღიურად იფრენს აღმართისკენ და მათ სამხედრო დანიშნულების ტვირთის წაღების უფლება ექნებათ.

ადრე ლაპარაკი იყო ამერიკული სამხედრო ტვირთის შავი ზღვიდან საქართველოს სახმელეთო და საჰაერო გზებით აღმართისკენ გადატანაზე, მაგრამ რაიმე არ იქცა სიტუაციაზე (ან თუ იქცა, რა მასშტაბით?), გასარკვევად.

კიდევ ერთი შეთანხმება ქება აშშ-რუსეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის აღდგენას და გაგრძელებას, რომელიც საქართველოში გასული წლის აგვისტოში რუსული ჯარების შემოჭრის შემდეგ გაიყინა.

უახლესი ერთი წლის განმავლობაში აშშ-ისა და რუსეთის შეიარაღებული ძალები 20-მდე ერთობლივ სხვადასხვა მასშტაბის სწავლებას ჩატარებენ გეგმავს. ამასთან, რუსეთის სამხედრო აკადემიის მსმენელი ოფიცრები მცირე ხნით გაიგზავნებიან აშშ-ში, ექსტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში.

ახლა კი წინების სასიცოცხლო საკითხზე: რა მოილაპარაკეს აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოზე?

როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტები ვერ შეთანხმდნენ, პრეზიდენტმა ობამამ კატეგორიულად დააფიქსირა, რომ აშშ ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

ამასვე მადლობა აშშ-ის პრეზიდენტს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსკოვი საოკუპაციო ჯარებს ზედალზე გაიყვანს ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან. მხოლოდ სტატუს კო შერჩენა და საქართველოს ეს მხარეები რუსეთს კვლავ ოკუპირებული ექნება, ხოლო აშშ და ევროპა, ტრადიციულად, „შემოთქმებას“ და „აღმოთქმებას“ გამოხატავენ...

იხე, თუ ობამა-მედვედევის შეხვედრამ ოდნავ მაინც შეარბილა რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება და ნაწილობრივ მაინც გამოიწვია რუსული სამხედრო აგრესიის გაგრძელება, ესეც დიდ მიღწევად ჩაითვლება საქართველოსთვის.

ირაკლი ალაბაშვილი

# „კავკასია-2009“ რუსული სამხედრო ემბაკოებით...

ოპერატიული-სტრატეგიული დონის სწავლებას უცხოელი სამხედრო დამკვირვებლები რომ არ დასწრებოდნენ, მოსკოვმა მონაწილეთა რიცხვი 500 კაცით, ხოლო ტანკებისა და ყავშმანქანების რაოდენობა 50-50-ით შეამცირა...



29 თვისიდან 6 ფელსამდე რუსეთის სამხრეთით ოპერატიულ-სტრატეგიული დონის სწავლება Kavkaz-2009 ჩატარდა. მას თავად რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ნიკოლაი მაკაროვი ხელმძღვანელობდა.

სწავლება მიმდინარეობდა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში — კრანსოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ასტრახანის, კოლგორადისა და როსტოვის ოლქების, ინგუშეთის, ჩრდილო ოსეთის, ჩეჩნეთისა და დაღესტნის რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებულ პოლიგონებზე.

სწავლებაში მონაწილეობდა 8500 სამხედრო, 200 ტანკი, 450 ყავშმანქანა და 250-მდე საარტილერიო დანადგარი.

სწავლებაში ჩართული იყვნენ ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის დანაყოფები, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მე-4 არმია, შვეი ზღვის ფლოტი, კასპის ზღვის ფლოტბოთა, საჰაერო-საღესანტო ჯარები, აგრეთვე ფედერალური უშიშროების სამსახურის, შს-ს შინაგანი ჯარებისა და საგზაგებო სტრუქტურების სამინისტროს დანაყოფები.

ეს სწავლებების ოფიციალური მხარე იყო, რეალურად კი საქართველოს ჩრდილო საზღვართან მიობინებულ შემოწამოთვლილი მნიშვნელოვანი ძალები მზად იყვნენ ბრძანების მიღებისთანავე გაემართებინათ გასულ წელს დაწყებული აგრესია.

უცხოელი სამხედრო დამკვირვებლები რომ არ დასწრებოდნენ ამ სწავლებას, რუსეთის გენერალიტეტმა ერთ სამხედრო ემბაკობას მიპარა.

საქმე ისაა, რომ 1999 წლის ვენის დოკუმენტის თანახმად, თუ სწავლებაში მონაწილეობს 9 ათასი ან უფრო მეტი სამხედრო მოსამსახურე, გამოყენებულია 250 ტანკი, 500 ყავშმანქანა და 250 საარტილერიო დანადგარი, მაშინ სწავლების გამმართებელმა ქვეყანამ აუცილებლად 42 დღით ადრე უნდა შეატყობინოს ვენის დოკუმენტის ხელმოწერულ სახელმწიფოებს და მზად იყოს სამხედრო დამკვირვებლების მისაღებად.

ვენის დოკუმენტზე რუსეთის ფედერაციას, ისევე როგორც საქართველოს, ვეროპისა და დოს-ის თითქმის ყველა ქვეყანას, ხელი მოწერილი აქვს.

რუსეთის ხელისუფლებამ, თავიდან რომ აეცილებინა უცხოელი სამხედრო დამკვირვებლების ჩრდილო კავკასიაში ჩასვლა, მონაწილეთა რიცხვი 500 კაც-ით, ტანკებისა და ყავშმანქანების რაოდენობა კი 50-50-ით შეამცირა.

მართალია, სწავლებაში 250 საარტილერიო დანადგარი გამოიყენეს, მაგრამ ვენის დოკუმენტში ნაიქვეამა, რომ მათი კალიბრი 100 მმ ან უფრო მსხვილი უნდა იყოს. Kavkaz-2009-ში კი სხვადასხვა კალიბრის (მათ შორის 82 მმ-იანი ნაღმ-სატყორცებიც) საარტილერიო დანადგარები გამოიყენეს.

სწავლების ძირითადი სცენარი ანტიტერორისტული ხასიათის იყო. რუსული სამხედრო დანაყოფები იტერაგბდნენ და შეედევ ალყაში „მოაქცევდნენ“ მქნობელი ქვეყნად (იგულისხმებოდა, რა თქმა უნდა, საქართველო) შემოსულ და თვით ზღვიდან გადმოსხმულ მსხვილ ტერორისტულ დაჯგუფებებს.

29 თვისის, სწავლების დაწყებისთანავე, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის — CKBO-ის სამხედრო შენაერთების ბაზაზე დაიწყო „ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების“ ჩამოყალიბება, რომლის ნაწილი იწყებს მრავალკომანდოან მარშს სამხედრო კოლონის დასაცავად როგორც ზემოთხე, ისე პაეროდან.

ოპერატიულ-სტრატეგიული სწავლების პერიოდში გაიმართა რამდენიმე ტაქტიკური სწავლება ბროვადის, პოლკის, ბატალიონისა და ასეულის დონეზე.

საგულისხმია, რომ როდესაც სწავლებაში მონაწილე დანაყოფები საქართველოდან „გადასულ“ მთვრ ტერორისტებს ექებდნენ, ჩეჩენი, ინგუში და დაღესტნელი შეიარაღებული პირები ჩრდილო კავკასიაში რამდენჯერმე დაესხნენ თავს რუსი სამხედროებისა და სამართალდამცვეების სააგრობოლო კოლონებს, რასაც ორ ათეულამდე რუსი ფედერალი შეჰქინა.



# გერმანიის ავღანეთში ოთხ AWACS-ს გაგზავნის



გერმანიის ბუნდესტაგმა თანხმობა განაცხადა ავღანეთში შორი რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავ AWACS-ის გაგზავნაზე, რასაც 461-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 81 წინააღმდეგი იყო, ხოლო 15-მა თავი შეიკავა. როგორც იუსუფიან, AWACS-ები ავღანეთის ცაში კოორდინაციას გაუწევენ სამხედრო და წაწილობრივ სამოქალაქო-საპაეო ტრაფიკს. გარდა ამისა, თვითმფრინავები დაქმნებიან ISAF-ის ჯარებს თალიბების წინააღმდეგ საავიაციო რეიდების ჩატარებაში. AWACS-ების მომსახურებისთვის ავღანეთში 300 გერმანული სამხედრო მოსამსახურე გაემგზავრება.

AWACS-ს 400 კმ სიშორეზე საპაეო და სამხელეო მონიტორინგს და კოორდინაციას განსახდურა შეუძლია. მისი რადარი 312000 კვკმ ტერიტორიას უთვალთვალავს, რაც თითქმის გერმა-

ნიის ფართობის ტოლია. კეიბაჟი 17 კაციცხან შედგება.

AWACS-ები NATO-ის განკარგულებაშია, მაგრამ ავღანეთში მათი გაგზავნის საკითხი გერმანიის პარლამენტმა გადაწყვეტა, რადგან კეიბაჟების დაახლოებით მესამედს გერმანიის მოქალაქეა.

ISAF-ის გერმანული კონტინგენტის რაოდენობა 3700-დან 4500 კაცამდე გაიზარდა. გერმანული ჯარების ავღანეთში მოქმედების მანდატი 13 დეკემბრამდე გაგრძელდა.

თვითმფრინავების გაგზავნისა და მანდატის გაგრძელების წინააღმდეგი იყვნენ „ემუბარცხენეები“, მათ მიაჩნიათ, რომ ეს კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევს. შეფასებები, რომ სოციალური გამოკითხვის მიხედვით, გერმანიის მოქალაქეთა 61% ავღანეთიდან გერმანული კონტინგენტის გამოყვანის მომხრეა. როგორც ქვეყნის თავდაცვის მინისტ-

ტრმა განაცხადა, გერმანული კონტინგენტი ავღანეთში 2020 წლამდე დარჩება. მეტიც, მოუწოდებს გერმანელ სამხედროებს, უფრო აქტიურად გამოიყენონ იარაღი შეტევებში. ამჟამად ბიუროკრატიული შეზღუდვების გამო ჯარისკაცებს ავღანეთში პირ შეუძლიათ სათანადოდ თავის დაცვა. კრძოდ, ინსტრუქციის თანახმად, თავდახმის შემთხვევაშიც კი ჯარისკაცებს აკრძალული აქვთ „გაქცეულებისათვის“ სროლა, მაშინაც კი, თუ ისინი ბოვეეები არიან. ასე რომ, გერმანულ ჯარისკაცებს, რომლებიც ტერორისტებს ებრძვიან ავღანეთში, უფრო ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე პატარა გერმანული ქალაქის რიგეთა პოლიციელებს, რომლებსაც ბოროტ-მოქმედს გაქცევაში რომ ხელი შეუშალონ, შეუძლიათ ფეხებში მაისც ესროლონ. მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ინსტრუქცია შეიცვლება.

## რუ პაერსაწინააღმდეგო სისტემაზე ჩრდილოკორეული რაკეტები ვერ შენიშნეს

რუ პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის რადიოლოკაციურმა სისტემებმა, რომლებიც მორეულ აღმოსავლეთშია განლაგებული, არ დააფიქსირეს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მოქმედების ახლო რადიუსის რაკეტების გაშვება. როგორც ვარაუდობენ, ჩრდილოკორეული რაკეტები ძლი-

ერ გადაიხარა სამხრეთისაკენ, რამაც ხელი შეუშალა მათ აღმოჩენას. ჩრდილო კორეამ 4 თვის განმავლობაში მოქმედების ახლო რადიუსის ორი რაკეტა, რომლებიც პორტ კონსანის ახლოს, ჩრდილო კორეის აღმოსავლეთით მდებარე ბაზიდან გაუშვა. რამდენიმე ხნის წინ ჩრდილო კო-

რეამ გააფრთხილა იაპონია, რომ 25 თვისიდან 10 თვისის ჩათვლით იაპონიის ზღვაში სამხედრო სწავლებებს ჩატარებს და ამის გამო პორტ კონსანის სანაპირო ზონა ნაოსნობისათვის დაიკეტება. 2 თვისის ჩრდილო კორეამ მოქმედების ახლო რადიუსის 4 რაკეტა გამოცადა.

# რუსულ არმიას შიგნით სამხედრო-კოსმოსური თავდაცვის მეთაურობა შეიქმნა

რუსეთის შეიარაღებულ ძალებში პირველად შეიქმნა გაერთიანებული სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მეთაურობა. სამხედრო მართვის ახალი ორგანო 1-ელ იელისს აწ უკვე დაშლილი მოსკოვის ოლქის სპეციალური დანიშნულების პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მეთაურობის, ასევე რფ სამხედრო-საჰაერო ძალებისა და კოსმოსური ჯარების ზოგადი სტრუქტურის ბაზაზე შეიქმნა.

ახალი სამხედრო სტრუქტურის ფორმირება წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. შტაბი განთავსდება მოსკოვის გაეროდან ბალაშიხაში, სადაც ადრე პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის 1-ელი კორპუსის სამმართველო იყო.

მოსკოვის ოლქის სპეციალური დანიშნულების პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მეთაურობა 2002 წელს მოსკოვის ოლქის შეიარაღებული ძალებისა და პაერსაწინააღმდეგო თავ-



დაცვის ბაზაზე შეიქმნა. მას ემორჩილებოდნენ საავიაციო და სარაკეტო ნაწილები, ასევე კოსმოსაწინააღმდეგო თავდაცვის ქვედანაყოფები, რომლებიც რაკეტა-გზაგადამჭრელებით იყვნენ შეიარაღებული. პერსპექტივაში მეთაურობის შემადგენლობაში უნდა შევიდეს

ახალი საფორნტო ბომბდამშენ Cy-34-ების ესკადრალიც.

მოსკოვის ოლქის სპეციალური დანიშნულების პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მეთაურობა რუსეთის ცენტრალური სამწველო რაიონის საჰაერო სერვისს 1,3 მლნ კკმ-ზე იცავდა.

## ამერიკელი ფრთიან რაკეტებს აეროსტატებიდან უთვალთვალავენ

2009 წლის აგვისტოში აშშ-ის არმია დაიწყო აეროსტატის გამოცდას, რომელსაც ფრთიანი რაკეტების აღმოჩენად, გასაყოფად და გზის გადასაჭრელად გამოიყენებენ. ის ყველაზე დიდი საფრენი აპარატია, რომელიც ოდესმე გამოუყენებიათ ამერიკელ სამხედროებს საბრძოლო ოპერაციებში.

შეიარაღების ახალი სისტემა შემუშავდა კომპანია Raytheon-ის პროგრამა Joint Land Attack Cruise Missile Defense Elevated Natted Sensor System-ის (JLENS) ფარგლებში. 2004 წლის დეკემბერში კომპანიამ აშშ-ის არმიის შეკვეთა მიიღო, რომლის დირეგულიება 1,4 მლრდ დოლარს შეადგენს. უახლოეს მომავალში Raytheon-ს დაგეგმილი აქვს სამხედროებს მაწილოს JLENS-ის ორი სისტემა, რომლებიც შედგება 74 მ-იანი აეროსტატებისგან, რადიოლოკაციური აღჭურვილობისგან, მოხილური სადგომებისგან და საკომუნიკაციო საშუალებებისგან. 2009 წლის დეკემბერსა და 2010 წლის მაისში აეროსტატებზე რადიოლოკაციური აღჭურვილობის დაყენებენ.

აეროსტატი დაახლოებით 3 კმ სიმაღლეზე იმუშავებს და 200 კმ რადიუსში,

ყველა მიმართულებით, ფრთიანი რაკეტების აღმოჩენასა და თანხლებას უზრუნველყოფს. სისტემა პაერში 30 დღე-ღამეზე დაყოფს, რის შემდეგაც ხმელეთზე დასვამენ რეაააიათიანი ტექნიკური მომსახურებისათვის.

როგორც იუწყებიან, ამჟამად ფრთიანი რაკეტების აღმოსაჩენად და გასაყოფად აშშ იყენებს ჩვეულებრივ თვითმფრინავებს, რომლებიც აღჭურვილია

რადიოლოკაციური ხელსაწყოებითა და მიწისზედა სისტემებით. ამ უკანასკნელებს არ შეუძლიათ პირიზონტს მიღმა გაშუქებული რაკეტების აღმოჩენა და მგროზობაარევი არიან ისეთი ბუნებრივი წინააღმდეგობებისადმი, როგორც, მაგალითად, მთაა. ამასთან, თვითმფრინავების დახმარებით ასეთი ამოცანების შესრულება დიდ ძალისხმევასა და ხარჯს მოითხოვს.



# რე არმიასი ტანკის რაოდენობა ათჯერ შემცირდა



რე შეიარაღებული ძალების რე-ფორმირების შედეგად დაგეგმილია ტანკების 2000 ერთეულამდე შემცირება. სატანკო ქვედანაყოფებში გაერთი-

ანდებიან ორი ცალკეული სატანკო ბრიგადა და ოცზე მეტი სატანკო ბატალიონი, რომლებიც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იქნებიან. 2005 წელთან შედარებით ტანკების რაოდენობა ათჯერ შემცირდება.

რე გეგმვაშია უკვე დაამტკიცა სატანკო ჯარების ორგანოზატო სტრუქტურა სახმელეთო ბრიგადებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სანაპირო ჯარების შემადგენლობაში. ცალკეული სატანკო ბრიგადა ორ ციმბირისა და მისკოვის ოლქებში იქნება დისლოცირებული.

სატანკო ჯარები საბჭოთა, შემდეგ კი რუსულ არმიასი 1929 წელს შეიქმნა და თვდაპირველად „მექანისებული ჯარები“ ქროდებოდა.

რე თვდაცვის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით ამჟამად ჯარების შეიარაღებაში, ძირითადად, არის ტანკები T-62, T-64, T-72, T-80, T-90, ასევე მათი მოდიფიკაციები. ძირითად საბრძოლო ტანკად თვლება T-90, რომელიც T-27B-ისა და T-80-ის გაუმჯობესებული ვარიანტია. მიუხედავად ამისა, ახალი ტექნიკის რაოდენობა სამხედრო ნაწილებში არცთუ ისე დიდია.

## ისრაელი მზად არის F-22 იყიდოს

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები განიხილავენ მეხუთე თაობის გამანადგურებელ F-22 Raptor-ების შესყიდვის შესაძლებლობას, თუკი მის ექსპორტზე თანხმობას განაცხადებს აშშ-ის კონგრესი. როგორც იუწყებიან, ისრაელის გადწყვეტილება დამოკიდებული იქნება თვითმფრინავის დირეზულებასა და მისწოდების ვადაზე.

ამჟამად ისრაელი მოლაპარაკებას აწარმოებს აშშ-თან სხვა, მეოთხე თაობის მრავალმიზნობრივი გამანადგურებელ F-35 Lightning-ების შესყიდვაზე. ორივე თვითმფრინავი შეიმუშავა და აწარმოებს კორპორაცია Lockheed Martin-ი, მაგრამ F-35-ის ექსპორტირება აკრძალული არ არის. მიუხედავად ამისა, ისრაელი უპირატესობას F-22-ს ანიჭებს, რადგან ამ მანქანას დიდ სიმაღლეზე ფრენა და დიდი შეიარაღების წაღება შეუძლია.

F-35-ის შესყიდვაზე მოლაპარაკება ისრაელ-აშშ-ის შორის აქამდე არც ისე



შედევანი იყო. პოტენციურ მყიდველს ხელს არ აძლევდა თვითმფრინავების ღირებულება და მწარმოებლის უარი, თვითმფრინავებში ისრაელური წარმოების მაკომპლექტებლები გამოიყენებინათ, მაგრამ უკანასკნელი ცნობით ამ საკითხზე შეთანხმება მიღწეულია. ისრაელმა ასევე მიიღო უფლება, F-35-ს ტექნიკური მომსახურება ისრაელის ნაციონალურმა არმიამ გაუწიოს.

ამჟამად ამერიკის მთავრობა განიხ-

ილავს F-22-ის ექსპორტის აკრძალვის გაუქმების საკითხს. ისრაელის გარდა, F-22-ის შექმნა სურს იაპონიას, რომელიც სამხედრო პოტენციალს აძლიერებს ჩრდილო კორეის სარაკეტო საფრთხისგან თვდასაცავად. ტოკიოს დიდი თანხის ვადახდა მოუწევს თვითმფრინავის საექსპორტო მოდიფიკაციის დამუშავებაში. მისი დირეზულება მნიშვნელოვნად გადააჭარბებს საბაზო ვარიანტის ფასს.

## უკრაინული იარაღის ექსპორტი ორჯერ გაიზარდა

2008 წელს იარაღის ექსპორტისგან უკრაინის შემოსავალი დაახლოებით 800 მლნ დოლარამდე გაიზარდა, 2007 წელს 700 მლნ-ს შეადგინდა, 2004 წელს კი კვიკვა სულ 400 მლნ დოლარი გამოიშთა.

ახლანახან უკრაინამ ხელი მოაწერა კონტრაქტს ინდოეთისთვის თვითმფრინავ AH-32-ების რემონტსა და მოდერნიზაციაზე, რის დირეზულაცაც დაახლოებით 400 მლნ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, პერსპექტივაშია თანამშრომლო-

ბა ვიეტნამთან, რომელიმანაც კვიკვა პასიური და აქტიური რადიოლოკაციური საშუალებების მისწოდებაზე გააფორმა კონტრაქტი. მათი დირეზულება 100მლნ დოლარზე მეტს შეადგენს.

უახლოეს მომავალში კვიკვს დაგეგმილია აქვს ჯეჟმანტრანსპორტირების ტაილანდისათვის, ჯეჟმანტრანსპორტირების, ჯეჟმანმანქანებისა და სასროლი იარაღის — ჩაღისათვის, ტანკებისა და საბრძოლო მასალის ეწიისთვის მისწოდება. შესაძლოა, უკრაინამ შეიარ-

ალება მიწოდოს საქართველოსაც, ადრე დიდებული კონტრაქტების ფრაგლებში.

საბჭოთა კვიმრის დამლის შემდეგ უკრაინა საბჭოთა კვიმრისგან დატოვებულ იარაღს ყიდდა. 90-იანი წლების დასაწყისში კვიკვს დაახლოებით 90-100 მლნ დოლარად დირეზული თვდაცვათი პროდუქცია შექმნდა. ეს იყო დაახლოებით 18000 საარტილერიო სისტემა, სტრატეგიული მიზმდამყენები Ty-160 და Ty-95MC, ასევე 150-მდე კონტრეტურიის ბალისტიკური რაკეტები.



# როგორ აეზღაბენ ქართველ სერჟანტებს...



**2003 წელს საქართველოში სერჟანტთა მომზადების სკოლამ დაიწყო მუშაობა. კურსანტთა მომზადებასა და სასწავლო პროგრამაზე სერჟანტთა მომზადების სკოლის ძირითადი კურსის სასწავლო ვჯგუფის ხელმძღვანელი, უფროსი ლეიტენანტი ძმინსტანტინი ივანოვი ვკვსაუბრება:**

კურსები.

— **რას ნიშნავს ტრანსფორმაციის კურსი?**

— ტრანსფორმაციის კურსი იმ პირებისთვისაა, ვინც თანამდებობაზე მუშაობს, მაგრამ არა აქვს გაცილები შესაბამისი მომზადება. ეს კურსი შეიცავს ათეულისა და ოცეულის სერჟანტების კურსებიდან ვკვლავზე მნიშვნელოვან პროგრამებსა და სამუშაო საქმიანობასაც.

— **ათეულისა და ოცეულის სერჟანტების მომზადების პროგრამაში რა შედის?**

— ძირითადი კურსის მეცადინეობები გაყოფილია ორ ნაწილად. ვამზადებთ ინსტრუქტორებსა და მეთაურებს.

კურსანტებს ვასწავლით, როგორ უნდა ჩაატარონ მეცადინეობა სამწოდრო მომზადებაში. ეს არის პირველი გამოცდა; მეორეა საცეცხლე მომზადებაში, ანუ როგორ ჩაატაროს მეცადინეობა იარაღზე; მესამეა საბრძოლო მომზადება. ის 4 თვისაა მოიცავს: ცეცხლის მართვასა და წარმოებას, სავანგომო საკუშაგოს, პატრულირების ხერხებს. ინსტრუქტორის კურსგავლილმა კურსანტმა გამოცდაზე უნდა აჩვენოს, რომ შეუძლია ათვისებული მასალის სხვისთვის კალიბრაციურად გადაცემა. გამოცდას ლექციის საზე აქვს, შემდეგ მას გამოცდას როგორც მეთაურს. კურსანტებს ჩაუტარდებათ მეცადინეობები საბრძოლო ბრძანების გაცემაში, გამოცდას კი ტყეა და ქალაქში ბრძოლაში გათვლიან.

ნეობები საბრძოლო ბრძანების გაცემაში, გამოცდას კი ტყეა და ქალაქში ბრძოლაში გათვლიან.

ვატარებთ დამატებით მეცადინეობებს კავშირგაბმულობაში, საინჟინრო მომზადებაში, მასობრივი განადგურების იარაღის საუბობებსა და რუკა-კომპასის მოხმარებაში. კურსის განმავლობაში რამდენიმეჯერ ვატარებთ ორიენტირების მარშს, ასევე მეცადინეობას რაიონის დაკვებასა და მარშზე.

კურსის ბოლოს ტარდება შემადგამელი მეცადინეობა. ვაწყობთ საძლიან ვაკვლებს, სადაც კურსანტები პრაქტიკაში იყენებენ თეორიულ ცოდნას.

ოცეულის სერჟანტის კურსებზე კი მიიღებთ ის პირები, ვისაც წინა კურსი უკვე გავლილი აქვთ. აქ კურსანტები გამოიცდიან სამეთაურო საქმეში და უტარებთ სხვადასხვა მეცადინეობას. პროგრამაში შედის საეკლესიო-საგუშაგო, სროლის ხელმძღვანელის კურსი, სწავლებებზე უცხო ენასაც, გადიან სამშვიდობო პროგრამასაც.

— **რა ასაკობრივ შეზღუდვებს ითვალისწინებს თქვენი სასწავლებელი?**

— პირველ ორ საფეხურზე მიიღებთ 30 წლამდე ასაკის პირები, ხოლო ტრანსფორმაციის კურსი საქონისი ასაკამდე ვათვლილი, მომავალში კი სასწავლო პროგრამაში დამატებითი სწავლებების დანერგვას ვკვდებით.

**თათია მებენიშვილი**

— **რას წარმოადგენს სერჟანტთა სკოლა და როდის შეიქმნა?**

— სკოლა 2003 წლის აპრილში, ქალაქ გორში ვაიხსნა. მისი პირველი მეთაური პოლკოვნიკი ზურაბიშვილი იყო, შტაბის უფროსი კი ვიცე-პოლკოვნიკი ვევერწითელი. პირველ ეტაპზე სკოლაში GTEP-ის (წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) პროგრამაგვლილ სამხედრო მოსამსახურეებს აზმადებდნენ. 2003-2005 წლებში 120-მა სამხედრო მოსამსახურემ წარჩინებით დაასრულა სწავლა.

2005 წლიდან სერჟანტთა მომზადების სკოლა ქალაქ გორიდან ქოვრდულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ გადავიდა. სერჟანტთა მომზადების სკოლის უფროსია კაპიტანი ზურაბ ზვინია, შტაბის უფროსი კი კაპიტანი რაზმაძე.

მას შემდეგ, რაც სკოლა „კრწანისში“ ტერიტორიაზე გადავიდა, 250-მა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა მომზადება.

— **თანამშრომლობს თუ არა სკოლა უცხოურ ორგანიზაციებთან?**

— 2006 წლის ნოემბერში სერჟანტთა მომზადების სკოლასა და ვერძინის ფედერაციული რესპუბლიკის ქვეითთა ვარების სკოლას შორის თანამშრომრობის ხელშეკრულება ვაფორმდა.

— **როგორ იღებენ სკოლაში კურსანტებს?**

— კურსანტებს ცალკეული ბატალიონიდან და ბრიგადიდან მეთაურების რეკომენდაციებით ვგზავნიან.

— **კურსის დამთავრების შემდეგ სად იგზავნიებიან?**

— უკან, თავ-თავიან დანავყოფებიში.

— **რამდენი სახის კურსი არსებობს სკოლაში?**

— არის ათეულის, ოცეულის სერჟანტებისა და ტრანსფორმაციის

# ზემო სვითის ბრძოლის უსწორი დავალები



**რუსული ზანკის  
აფეთქებული  
გამოგვეხეპუროს!**

ინტერნეტიდან ამოღებულ ზემო სვითის ფოტოზე კარგად ჩანს ის ადგილები, სადაც რუსული ჯავშანტექნიკა განადგურდა

მალე საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან განხორციელებულ აგრესიას ერთი წელი შეუსრულდება. „ოსების გადარჩენისა და შშვილობის იძულებისათვის“ დაწყებული ომის მთავარი მიზანი: ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია-ანექსია და კოლონიის მართონეტული რეჟიმის შენარჩუნება იყო.

აგრესორთა ჯავშანკოლონები ქართლის მიწაზე ავიაციის მხარდაჭერით მოეპარებოდნენ და გამარჯვებაში თავდაჯერებულები საქართველოს ტერიტორიის სიღრმისაკენ მოიწვევდნენ.

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის ვლადიკავკაზის მე-19 მოტომსროლელი დივიზიის 693-ე მოტომსროლელმა პოლკმა და ფსკოვის 76-ე საპარაშუტო-სადესანტო დივიზიის 104-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის სადესანტო-მოიერიშე ბატალიონმა ერთობლივად ცხინვალის რეგიონისაკენ გადაადგილებისას და ვარიანთ-ვარიანის შეურნობის მისაღწევად პოზიციების დაკავების დაულება მიიღეს.



ქართველი მებრძოლების მიერ განადგურებული რუსული БМП-2

11 აგვისტოს 11 საათსა და 30 წუთზე კოლონა ტბეთიდან ზეიანგურეთის გავლით დასახული მიჯნებისაკენ დაიძრა.

მრავალრიცხოვანი რუსული კოლონის შემადგენლობაში შედიოდა: ქვეითთა საბრძოლო მანქანები БМП-2, მედენსატეთა საბრძოლო მანქანები БМД-2, 152 მმ-იანი თვითმძვავი პაუბი-ცა 2С3 „Акация“, 122 მმ-იანი თვითმძვავი საარტილერიო სისტემა 2С9 Нона“, 693-ე პოლკის სატანკო ბატალიონის Т-72 ტიპის ტანკები და სხვა ტექნიკა. კოლონას აბოლოებდა 42-ე მოტომსროლელი დივიზიის ჩეხნური სპეცდანიშნულების ბატალიონ „ვოსტოკის“ ასეული.

14 საათსა და 30 წუთზე კოლონა სოფელ ზემო ზეთიშო შევიდა, სადაც ცენტრალური ქუჩის — სოფლის ბაღების სიახლოვეს გავლისას ჩასაფრებაში მოხვდა. მარცხენა მხრიდან მჭიდრო და ზუსტი ცეცხლი ყუმბარსატვირთებით, კუმულაციურქობინიანი და ცეცხლსასრული იარაღით გაიხსნა.

ცეცხლში კოლონის შუა ნაწილი მოჰყვა. ქართველი მებრძოლების ზუსტი სროლის შედეგად 693-ე მოტომსროლელი პოლკის სატანკო ბატალიონის 1-ელი სატანკო ასეულის Т-72 №32-ს ჭურჭი მიხვდა, რომელსაც რამდენიმე წამში ტანკის ჭურჭვების დეტონაცია მოჰყვა. აფეთქების ძალამ კოშკუ-



**ზუსტმა გასროლამ რუსი აგრესორების Т-72-ს ზემო ზეთიშის გზაზე მოუღო ბოლო**

რა ტანკს მოვლიდა და ორი მეტრის დაშორებით გადააგდო.

ქართველი მებრძოლების ცეცხლისაგან ბრძოლაში 693-ე პოლკის ორი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2 №350 და №355 განადგურდა.

ცეცხლის მიუხედავად, კოლონის ავანგარდში მყოფი 104-ე პოლკის მედენსატეები არ შეეჩინდნენ და მოძრაობა განაგრძეს, ხოლო 693-ე

პოლკის მოტომსროლელებმა გაცლა ამჯობინეს და სოფლის შესასულელთან — აფეთქებული ტანკიდან 200-300 მეტრის დაშორებით პოზიციები დაიკავეს.

სადამოსკენ რუსულმა ბატალიონმა სოფელი მთლიანად აღვაში მოაქცია, მაგრამ შემდგომ შეტაკებებს ადგილი ჰქონდათ თუ არა, უცნობია.

12 აგვისტოს დილის 6 საათზე ზემო ზეთიშოში 693-ე პოლკის მე-5 ასეულის

**ბალი, სიდიდან ჩასაფრებაში მყოფმა მებრძოლებმა ცეცხლი გახსნეს**



**სოფლის გზას ჯერ ისევ ეტყობა დამწვარი რუსული ტექნიკის კვალი**





ტანკის აფეთქების შედეგად სოფლის მცხოვრების ეზოს დაზიანებული კარი



ავალი გზა 12 აგვისტოს დიდუღის 9 სათზე გააგრძელა.

2008 წლის 11 აგვისტოდან დიდი დრო გაუიდა, მაგრამ ზემო ხეობის ცენტრალურ გზას ბრიძის კვალი ისევ ეტყობა.

იქ, სადაც რუსული ტანკი T-72 №321 აფეთქდა, ასფალტი ისევ გაშეკვლილია და მუხლებების კვალი ემჩნევა. ქუჩის სივრცე მცხოვრების ეზოს რკინის კარზე ამოკლებული ადგილი, კედლიდან ჩამოყრული ბათქაში, საყრდენიდან გადმოვარდნილი და დაცხრილებული გაზსადენის მილები აფეთქების ძალაზე საკმარის წარმოდგენას იძლევა.

ჩვენი მრავალგზის მკვლელობის მიუხედავად, ჯერჯერობით არ მოხერხდა იმ ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ნახვა, ვინც უშუალოდ მტრის განადგურებაში მონაწილეობდა.

იმედ ვიტოვებთ, რომ ამ ისტორიას გაგრძელება აუცილებლად ექნება და ქვეყანა გაიგებს იმ გმირებს სახელებს, ვინც სწორი მოქმედებით, უთანასწორო ბრძოლაში მტრის დანაკარგები მაიყენა, გარკვეული დროით შეაჩერა და წინსვლის საშუალება არ მისცა.

თამაზ ჩაჩანიძე

მეთაური ჯარისკაცების თანხლებით შევიდა. რუსმა სამხედროებმა აფეთქებული ტანკის ტანკი: სატანკო ოცეულის მეთაური ლეიტენანტი მიხეილ მოლჩანი და ოპერატორ-მემბრე რიგითი დმიტრი ბურდენკო, მძლავრ-მექანიკოს რიგითი შაქსიმ პასკოს სხეულის ცალკეული ფრაგმენტები, აგრეთვე ბრძოლაში

დაღუპული მე-5 მოტოსმართლები ასეულის რიგითი ალექსი მაკევი და ოლეგ კუსმარცევი გადმოსაყენეს.

ზემო ხეობიდან ბრძოლაში რუსების მხრიდან ბევრად მეტი მებრძოლი დაიჭრა და მათ შორის სამი — ჩეჩნური ბატალიონ „უოსტოკიდან“ იყო.

რუსულმა კოლონამ სიფელზე გამ-



**დაცვის პოლიცია**  
www.spd.ge

**ბინა + აგახაჯი**




**= 135**

თა თქვანი სასოვრობალო ბინა მდებარეობს თბილისში და დაცვალა სიგნალურაჟიით 836 მირი, თქვან ყოველთვიურ სააოონებო გადასახალს იხდით 80 ლარს, ხოლო თა თქვანი აგახაჯი მდებარეობს წყნეთში, საბურთაშოში, ბინდისში, ნავანისში, ოპროჩანაში, ტახახალაში, ბაჟარანში, ბოროჯოში, აპარიათში, გონიოში ან სარაჟი და დაცვალა ასაპ სიგნალურაჟიით - იხდით 100 ლარს, რაც ააში 180 ლარს უდრის.

თა თქვან ისარგავალაბო მკანი ახალი სარკისით "ბინა+აგახაჯი", თქვან ბეალაბათ საბალაბა ერთდროულად დოივანთ ბინა და აგახაჯი 135 ლარად

**დაგვიკავშირდით ნომარა : 025**

და ბილათ დამაბაბიით იხვოროგავი 24 საათის მანვალურაბოში.

# ქართული შინა უმთავრესად საგნებისაგან სუთიანება



საინფორმაციო მენეჯმენტისა და განაღმების პროგრამა (IMMAP) 1998 წლის ბოლოს ამოქმედდა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული განაღმებითი ოპერაციებით მშვიდობიან მოსახლეობას დიდი დახმარება გაუწია.

რუსეთ-საქართველოს ომის სამომარ მოქმედებათა დასრულებისთანავე საქართველოში ორგანიზაციის სპეციალისტები ჩამოვიდნენ და განაღმებითი სამუშაოები სოფელ რუისის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარეს. ფეთქებადნაშთში საგნებისაგან 1105471 კვ (110 კა) ფართობი გასუფთავდა.

2009 წლის 2 მარტიდან მუშაობა გორის რაიონში დაიწყო და პირველ ეტაპზე სოფელ ზემო ნიქოზიან მდებარე NPA №007 რაიონი გაიქმნა. მომდევნო ეტაპზე მუშაობა სოფელ ქვემო ხეთიან მდებარე NPA №004 რაიონში გადაინაცვლა და ფეთქებადნაშთში საგნებისაგან გასუფთავებული რამდენიმე ათეულათა კვ ბალები და ნაკვეთები მშვიდობიან მოსახლეობას უსაფრთხო მდგომარეობაში გადაეცა.

მუშაობა მალე კიდევ ერთ — NPA №005 რაიონის ტერიტორიაზე დასრულდება. მონიტორები ახლა ტერიტორიას საკონტროლო შემოწმებას უტარებენ, რათა მოსახლეობა „სიურპრინებისაგან“ დაიცვან.

დაწყებულია სამუშაოები NPA №006

რაიონში, სადაც გასასუფთავებელია 200544 კვ (20 კა) მისწი ზედაპირი და დაახლოებით 30 სმ სიღრმეზე გამოსაკვლევა 42296 კვ (4,2 კა) მისწი ქვედა ფენა.

სოფელ ქვემო ხეთიან განაღმებულა და 45 კასეტური საბრძოლო ელემენტი 9H210, რომლითაც 220 მმ-იანი რეაქტიული ზალბური სისტემა „ურაგანის“ რაკეტების საბრძოლო ქობინები. თითოეული ქობინი 30 ასეთ ელემენტს შეიცავს.

Human Rights Watch-ის დასკვნაში ნათქვამია, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმიამ გორისა და ქარელის რაიონის სოფლებში კასეტური საბრძოლო ელემენტებით აღჭურვილი სხვადასხვა სახის საბრძოლო საშუალება გამოიყენა, რასაც ათეულობით მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა და კიდევ მეტის დაჭრა მოჰყვა.

ბევრი კასეტური საბრძოლო ელემენტი აუფეთქებული დარჩა და მოსახლეობას მინდვრებისა თუ ბაღების დამუშავების საშუალებას არ აძლევს.

ასევე ნაპოვია აუფეთქებული კუმულიატიური-მსხვერვალი ჭურჭლი M85, 82 მმ-იანი და 120 მმ-იანი ნაღმები, სხვა სახის საბრძოლო მასალები.

გამანადგებელი იყენებენ ნორვეგიული კომპანია ROFI Industrier AS-ის დამცვე აღჭურვილობას, რომელიც კვრინისმაგვარი სინთეტიკური მასალისაგან არის შეკერილი და ადამიანის სხეულის წინა ნაწილის აფეთქების ტალღისაგან დაცვას უზრუნველყოფს. კანადური წარმოების LDH მოდე-

ლის ჩაფხუტი სახეს აფეთქების ტალღისა და სითბური დარტყმისაგან იცავს, ხოლო ჩაფხუტის პატარა წონა და იდეალური ვენტრიატორა მუშაობის პროცესში ადამიანს არ აწუხებს.

ფეთქებადნაშთში საგნების მოსაძებნად GA-72Cd მოდელის ელემენტორმაგნიტური დეტექტორები და პატარა ნიჩბები გამოიყენება. დეტექტორი მხოლოდ რკინასა და ფოლადზე რეაგირებს, ხოლო მგრანობიარობა ლითონის მასაზეა დამოკიდებული. რკინის შემცველი რამდენიმეგრამიანი საგნები 20 სმ სიღრმეზე იგრნობა.

უცხოელმა სპეციალისტებმა 26 ქართველი გამანადგებელი მოამზადეს, რომლებიც ახლა დამოუკიდებლად მუშაობენ. პროცესი ზედაპირის ვიზუალური დათვალიერებით იწყება. თუ დეტექტორმა სიღრმეზე ლითონის შემცველობა მაინაშნა, მაშინ ის ადგილი ნიჩბით გაითხრება და ფეთქებადნაშთში საგნის პოვნის შემთხვევაში ადგილი მოიხიზნება.

ერთ-ერთმა ქართველმა გამანადგებელმა გიორგი ხუციშვილმა 7 კასეტური საბრძოლო ელემენტი იპოვა და განაღმებულა.

საბუნებრივად, მსხვერვალი არ არის და ყოველი შემთხვევისათვის შესაბამისი სამსახურები დახმარების აღმოსაჩენად სრულ მზადყოფნაში არიან. ადგილობრივი მოსახლეობაც ინფორმირებულია და მუშაობენ მხოლოდ იქ, სადაც შესაზრებებს საქმე დასრულებული აქვთ.

თამარ ჩაჩანიძე





# ფოტოს სანაპირო დაცვის გაზა ჩაძირული კაზარებისაგან ინჟინრება

2008 წლის აგვისტოში, რუსული აგრესიის დროს, რუსეთის არმიის სპეცქვედნაყოფის დიფერსანტებმა პროფესიონალიზმის დემონსტრირება ფოთის სამხედრო-საზღვაო ბაზაში მოახდინეს, სადაც ქართული სამხედროების ქონების ქურდობასთან დროულად საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის დაზიანებული, ცურვის უნარმოკლებული მცურავი საშუალებები ააფეთქეს.

განვილით ომის ერთ-ერთ ჭრილობად გემსადგომებთან ჩაძირული კატარლები რჩებოდა, რომლის გამო ახალი პორტის აკვატორიის ერთი ნაწილის გამოყენება შეუძლებელი იყო და თავად ფოთის სანაპირო დაცვის ბაზის განვითარებაც ფერხდებოდა.

ქართველმა მებრძოლებმა საკუთარი ძალებითა და საშუალებებით შეძლეს და ნაპირზე ამოწიეს პატარა მასის „წყალტუბო“ (წყალწვევა 70 ტონა), 50-ტონიანი P-104 და P-105 „ორბი“, ხოლო შედარებით დიდი მასის მქონე „თბილისი“ (წყალწვევა 258 ტონა) და „დიოსკურია“ (წყალწვევა 255 ტონა) წინასწარ წყალქვეშ დაჭრას საჭიროებდა.

აპრილის პირველ რიცხვებში ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სანაპირო დაცვის ბაზის აკვა-

ტორიის ჩაძირული კატარლებისაგან გასაწმენდ ტენდერი ჩაატარა, სადაც თურქეთის მოქალაქე ჯემ აიდემირმა გაიმარჯვა.

თურქეთის მოქალაქეს სამუშაოების სამ თვეში დახრულების პირობა აქვს დადებული და სამი კატარდის: „წყალტუბოს“, „თბილისისა“ და „დიოსკურიის“ კორპუსებში 61 ათასი დოლარი გადაიხადა.

„წყალტუბოს“ კორპუსი მთლიანად დაჭრილ-გატანილია. დარჩენილია სინ-

თეტიკური მასალისაგან დაზიანებული ზენდაშენი, რომელიც დამხმარე დანიშნულებით გამოსაყენებლად იგეგმება.

მასში დაიწყო ჩაძირული „თბილისისა“ და „დიოსკურიის“ წყალქვეშ დაჭრა და ერთი შეხედვით მარტვი ოპერაცია საქმოდ რთული გამოდგა. კატარლებში დარჩენილი სხვადასხვა კალიბრის აუფეთქებელი ჭურვები და ვაზნები ცუდი ხელვალობის გამო კორპუსის შიგნით მუშაობის დროს მყენ-თავებს დიდ საფრთხეს უქმნიდა.

**ფოტოზე მარცხნივ გამოსახულია რუსეთის საპაერო-სადედანტო ჯარების 45-ე ცალკეული სადაზვერვო პოლკის პოდიმოლკოენიკი ანატოლი ლებედი — ქართული კატარლების განადგურების ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი. უკანა პლანზე ჩანს ფოთის სამხედრო პორტში ჯერ კიდევ აუფეთქებელი „დიოსკურია“**





თურქი მეცენათავები კატარლები სორპუსში შესვლას ერიდებორდენ და მათ დასახმარებლად ბათუმიდან გამოცდილი ქართველი მეცენათავე ედნარ ბოლქვაძე ჩაეიდა. მასთან ერთად მუშაობდა არანაკლებ გამოცდილი ფოთული მეცენათავე ნოდარ მესხია.

რთულ პირობებში მუშაობას ქართველმა მეცენათავემ ბათუმი შესანიშნავად გაართვეს და წყალქვეშ ორივე კატარლის სორპუსის უხიფათოდ დაჭრა მათი პროფესიონალიზმის დამსახურებაა.

ედნარ ბოლქვაძე მეცენათავესიბრია ქვეყნების რამდენიმე პორტში ჩატარებული სააერო-სამაშველო ოპერაციების მონაწილეა. მაქსიმალური სიღრმე,

ლევენ თოდუას ფოტო: მცურავი ამრის დახმარებით აფეთქებული „წყალტუბოს“ ნყილიდან ამონევა



„თბილისის“ 76მმ-იანი საარტილერიო დანადგარი ჯართად ისე იჭრება, რომ რუსი აგრესორების ნინააღმდეგ გასროლის გაკეთება ვერ მოხასრო

უნგრეთში „ჰანს დანიბუსის“ ქარხანაში აგებული მცურავი ამწე მწყობრში 1957 წელს ჩადგა და კაპიტან გიზო ქიჩილაგას თქმით, მას შემდეგ ფოთის პორტში ჩატარებული ყველა სააერო-სამაშველო ოპერაციის მონაწილეა.

აგვისტოს ომის შემდეგ ორივე კატარლის სორპუსში ბეერი შლამი დაგროვდა და ამ მიზეზით გაზრდილმა მასამ მცურავ ამწეს დაჭრილი ნაწილების წყლიდან ამოღებაში სირთულე შეუქმნა.

კონტინერებში ჩალიგებული „თბილისი“ გადასადნობად შორეულ ინდოეთში იგზავნება



სადც მას ჩაუყენიათ, 45 მეტრია. მონაწილეობდა თურქული სააეროობოილო ბორანის სამაშველო ოპერაციაში, ფოთის პორტში ჩაბრული მცურავის სახელისონის ამწეევაში, ბათუმი სანაპიროზე გამოირეული მშრალტვირთმხიდის გადარჩენაში და ა.შ.

ბათუმელმა მეცენათავემ გაუშვებესა წყალქვეშ ლითონის მჭერლი სანთურა, რთაც ის უფრო უსაფრთხო და ეკონომიური გახდა.

კატარდა „თბილისის“ დაჭრილი ნაწილები ზღვიდან გემსადგომზე ფოთის პორტის 100-ტონიანი მცურავი ამწე PK-28-ის ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილია მეამწეევე ლევან თოდუამ ამოიტანა.





ლევან თოდუას ფოტო: „თბილისის“ წყალქვეშ დიჭრა

გემსადგომზე ამოტანილი „თბილისის“ ფოლადის კორპუსის სამივე ნაწილი პლანზური მჭრელებით პატარა ზომების ნაჭრებად იჭრება, კონტეინერებში იწვობა და გადასაღობად ინდოეთში იგზავნება. „თბილისის“ ალუმინის შენადნობისაგან დაშვადებული ზენდაშენი კი 2008 წლის აგვისტოში დიფერისის შედეგად გაჩენილმა ხანძარმა მთლიანად დაწვა.

მუშაობის მომდევნო ეტაპზე წყალქვეშ სამ ნაწილად დაჭრილი „დიოსკურიის“ ამოტანა დაიწყო.

თურქეთის მკვიდრი ფლოტის ჩაძრული გემის კორპუსიაც დაინტერესდნენ. რუსმა სამხედრო მებრძოლებმა ფოთიდან გასვლის წინ, 1992 წლის ზამთარში, გემსადგომთან ახალგაერე-მონტებული სასწავლო-საწვინი გემი ჩაძირეს. წინა წლებში ქართველმა მებრძოლებმა ერთი ნაწილის დაჭრა-ამოტანა მოახერხეს, დარჩენილი ნაწილის ამოღება ამ ზაფხულისათვის არის დაგეგმილი.

დაზიანებული „აიეტის“ კორპუსის ნახურტის დაგმანვა მოხერხდა, წყალი ამოიკუმშა და ხომალდი სწორ მდგომარეობაშია, მაგრამ მანქანები კვლავინდეურად გაუპარავია.

„აიეტის“ აუქციონზე გასაყიდად მზადდება. ხისგან აგებულმა ხომალდმა ჯართის მომპოვებლებში, წესით, დიდი ინტერესი არ უნდა გამოიწვიოს. ამ ნამდვილად ისტორიული ხომალდის შენარჩუნება და საზღვაო მუზეუმად გადაკეთება კი ბევრად მეტ სიკეთეს მოიტანს. ფოთს კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა შეემატება, ხოლო მომავალ თაობას



ბათუმელი მყვინთავი ედნარ ბოლქვაძე და მისი გაუმჯობესებული წყალქვეშ ლითონის საჭრელი სანთურა

საზღვაო საქმის უკეთ გატანის სამუალება მიეცემა.

„აიეტი“ ექსკავმანული მტრალავი ხომალდი და M1085 Minden-ი Lindau-ს სერიას მიეკუთვნება. მსწობრში 1959 წლის 9 ივნისს ჩადგა. 1978 წლამდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში ირიცხებოდა, ხოლო 1998 წლის ივლისიდან საქართველოს სანაპირო დაცვის ძალების განკარგულებაშია.

საინტერესოა, რომ Minden-ის „სის-თურშია“ M1084 Flensburg-ი გერმანელებმა საზღვაო მუზეუმად გადააკეთეს და არც მნახელები აკლია.

უკვე დაიჭრა და ვართში ჩაბარდა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების №1 მცურავი საშუალება MDK-01. საზღვაო ქვეყანას საზღვაო მუზეუმი აუცილებლად უნდა ჰქონდეს და იქნებ ამისთვის „აიეტის“ გადარჩენა მისცე მოხერხდეს.

დაიჭრა და ვართში ჩაბარდა რუსი დიფერისტების მიერ აფეთქებული P-204 „ორბი“ (საზღვაო ძალების ყოფილი ბორტი №103), ხოლო „კრიფის“ ტიპის P-204 (საზღვაო ძალების ყოფილი ბორტი №104) ნაპარზეა ამოტანილი და ვართად დაიჭრება.

ფოთის სანაპირო დაცვის საზღვაო ბაზაში მიმდინარე სამუშაოები ცხადყოფს, რომ ქვეყანას ესაჭიროება თანამედროვე და ძლიერი ტექნიკური ბაზის მქონე საავაიო-სამაშველო სამსახური, რაც როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მუხღვაურებსაც გამოადგებათ.

თემურ ჩაჩანიძე



გასაყიდად გამზადებული „აიეტი“



# „დედოფინა, შიგვილი, ღიზანტარია“, — ქართველი ჯარისკაცი აფხაზურ ჯარზე

აფხაზეთის ჯარში არაადამიანურ პირობებზე უნგრულმა ლეგენდებმა დადის. კვების, ტანსაცმლის, პიჯაქისა და დისკალინის უქონლობას „დედოფინა-ნაი“ ემატება. ამის გამო აფხაზები თუ ქართველი წვეთმდლები ჯარში წასვლას თავს არიდებენ. ამიტომაც აფხაზმა მელიციელებმა და რუსმა სამხედროებმა სავადღებულო-სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებისთვის ფულადი ჯარიმა დააწესეს, რომელიც, ქართული ლარის კურსით, 200 ლარსაც აღწევს.

ჩვენი რესპონდენტი 23 წლის თემურ შერგელა (გვარი შეცვლილია) აფხაზეთში ცხოვრობს. ის ღვით აფხაზია, მაგრამ არც ქართველ ნათესავთან გაუწყვეტია კავშირი. რამდენჯერმე უნგრულმა გადმოიყვანა და ქართულ ჯარში სამსახურის სურველი გამოითქვა, მაგრამ აფხაზმა ნათესავებმა გააფრთხილეს, რომ მისი არჩევანი ოჯახს უსამართლებს. მოუტანდა და გადაიფიქრა.

— საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახური მინდობ, რადგან ბიჭებისგან ვიცილი, რომ აქ კარგი პირობები იყო. ისიც ვიცილი, რომ თუ თვინავციის სამინისტროსთან 4 წლიან კონტრაქტს გააფორმებდი, კარგი ანაზღაურებაც შექნებოდა. მაგრამ როგორც ქართულ ჯარის პირობები დაინტერესდი, დედანიც გააფრთხილეს, თუ ამას გააკეთებ, შეგიძლია, შენს შვილს საქართველოში(!) გაგვუქ და უკან არასდროს დაბრუნდები. ამიტომაც თავი შეუკავე. არადა, აფხაზეთში ახალგაზრდების შემოსავალი, ძირითადად, ყანალობა არ იარაღია და ნარკოტიკების ბიზნესია, არ მინდობ მეც ამ გზას გვეყოლიდ (ამ დანაშაულისთვის ადარაფის ბიჭურ, მხოლოდ წილს სიხურე). რადგან აქაურიობას სამართლებრივად შეშინებდა, ბიჭები ბიჭები პირობები უკეთესები აკონტროლებენ, შეუძლებელია ამ რეალობას თავი აარიო და ამ საქმეში არ ჩაერთო. წილების გადანაწილების გამო ხშირად დაინტერესებული შეტაკებები იმართება და ამ გაუგებრობას რამდენჯერმე მეც აღმეწინა. მერე ვთქვა, თუ უსაქართველად და ბირგობას, ჯარს მანც მივიტოვებ, ისეთი რა უნდა იყოს, რომ ვერ გვეუძლიო-მეთუი, მაგრამ ჯარისკაცებს რომ იმ ეხედებოდი, თუ წასვლის სურვილი თანდათან მიქრებოდა, მშვერტი, ნაკუმელები და დაუბრუნებელი იყვნენ. ხუთი წლის განმავლობაში უკვდილობი, საუღებულო-სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებას და ოჯახის შემოსავლის შესა-



## „რუსები მოკავლავს აფხაზურ ჯარში პირობებს გაუმჯობესება არ მოყოლია, ისევ გავ პურსა და წინიგობას ვჭამთ“

მელს აფხაზ სამხედროებმა და მილიციელებს უუხდობი. ბოლო დროს ამ მხრე ვითარება გამკაცრდა, ჯარისმის თანხაც გაიზარდა და ადრეც ნაცისობა შევლოდა. ამიტომაც ხან ერთი, ხანაც მთელი ნათესავი ოჯახში ვიძალდობი. წელიწად-ნახევრის შემდეგ შუალამისა და მამდგენ ხალხში და ოქამირის სამხედრო კომისარიატში ნახურად მძინარე წამყვანეს, იქიდან კი სოხუმის უმსპროების ობოლატორში გადამიყვანეს. ყოველდღე დასახიზად გავყავი, რატომ დაინტერესდი ქართული ჯარით, რას ელიდი თუ სამსახურის შემდეგ და ა.შ.

### — რას პასუხობდი?

— იმას, რასაც ვეფობობი: აფხაზურ ჯარში შიმშილია, ტანსაცმელსა და საპონზე ომია გამოსცხადებელი, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კი ბევრად უკეთესი პირობებია-მეთუი. ყოველი პასუხის შემდეგ მეცმდენ და მეუბნებოდნენ, შენ არ გავიგია, რომ საქართველოში იმი იყო და რუსმა ჯარისკაცებმა ველო სამხედრო ბაზა მისწითან გასასწორეს, ახლა იმით ჩვენზე მეტად უშროთი?! მოკლედა, ობოლატორიდან პირდაპირ კარანტინში გადამიყვანეს და იქ დაწყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. ის, რაც ბიჭებისგან მსმენილა, თავად გამოვიცადე. როგორც ვიცი, არც ურსულ სამხედრო ნაწილებშია ბევრად განსჯავებული პირობები, მაგრამ იქ რამდენიმე ელტრუნი სამხედრო ნაწილი მანც არის, სადაც ჯარისკაცებს ადამიანურად კვებენ და აცვიათ.

— აფხაზურ ჯარში რა ხდება?

— წერთებზე წვევანილი ნაწილის ჯარისკაცებს მიუღი დღის განმავლობაში უმეტესად წაწიბორასა და ჩაის მერტს არაფერს აძლევენ. საკუმელები ვინ ამიოღებს ხმას, ბანაობის საშუალება მანც რომ იყოს? გასავება, ჯრია და ისე არხინინად ვერ ვეჩქებით, როგორც შინ, მაგრამ იმ ბიჭების უმეტესობას, ვინც აფხაზური ჯარი მოიხადა, დასწერტრია და კანის დაეყებები დაუპირათ.

### — თქვენ როგორ ახერხებთ პიჯაქის დაცვას?

— მე კვირით ერთხელ შინ მიმუებინებ. ახლა ახალი ნაწილის მეთაური გვეყვს, რომელიც ბევრად უფრო მკაცრია, ვიდრე მისი წინამორბედი, თან ზაფხულია და ჩვენს ნაწილთან ახლოს, მდინარეში ებანაობთ. მრცხენია ამის თქმის, მაგრამ ხშირად არც საპირი გვაქვს.

### — თემურ, თქვენ „დედოფინა-ნა“ ახსენეთ, დამირისპირება ერთგულნი ნიშნით არის?

— დაიას, უფრო ერთგული ნიშნითადად წინების ქვეშ არიან სომხები და ბერძნები. თუმც კარგი დღე არც რუსებს ატყდა **ქართველი** **პარტიული ინფორმაცია** **ბიჭობი**



**ქართველების მდგომარეობა როგორია?**

— სხვათა შორის, ქართველებს ან გვერწინარ, ხელმძღვანელობას ვუწოდებ. რაც შეეხება ჯარისკაცებს შორის დაპირისპირებას, ქართველები და აფხაზები უმეტესად ერთმანეთს უჭეჭენ მხარს, ყველა ჩხუბის დროს ერთად ვართ ჩხუბი ყველაფერზე შეძილება დაიწყო, ფესბაც-მელზეც იუ. უფრო სწორად, ახალწევრი, რომელიც უნდა ნაწილი თავი დამიკვიდროს და ჯარის დამოუკიდებელი ცოცხთა და აქანდახით არ არბქინონ, პირველად უფიცლებლად გაილახება. ეს ერთგვარი გამოცდია: შეარბულეებს თუ არა ბრძანებებს, აქებთ თუ არა მძლეველ-დასუფიფებს თუ არა საბირფარქმის და იბრუნებს თუ არა „კარგი დაჭიბვის“ სავარტით მიმარბვებაზე. როცა სხვა ნაწილის ჯარისკაცებს ეხვლები, ჩაცმულობაზე ვიტყობ, რისი ვაქციფრებლია, თვის დაცვა შეუძლია თუ არა.

აფხაზური ჯარი ახლა ისეთია, როგორც ქართული ჯარი შეყარნდაის პრეზიდენტობის დროს.

**გამოიწიეს აფხაზურ ჯარში ციხის წესებში ცხოვრობენ?**

— ასეა. ის, ვისაც სხეებში შედარებით რთვიანად აცვია, „ამტრანია“, ანუ ერთი-ორი მოხვდა, მაგრამ გაუძლევს და თვისი ბრძანაა. იმათ, ვისაც ნებისყოფა არ ეყო და გატრდნენ, ვიდაცის გამო-ნაცვლით ცალ-ცალი ან დიდი ზომის ჩქე-მა აცვიათ, არც იარაღი აქვთ, მხოლოდ ხიმტრდნის ტრბების ნებას აძლევენ და არც მათ აქვთ უფრო სასახულისსეგვლო იარაღის ტრბების პრეტენზია. ასეც უნდა იყოს, ასეთი ჯარისკაცები იარაღს ვერ შეინარჩუნებენ, ვინმე წართმევენ.

**თქვენ თუ ბავშვთ თქვენი ზომის ჩქემა?**

— მიგეხვით, რასაც შეკითხებთ. მაქვს, ოღონდ ორჯერ დამტრეული ცხვირის ძეხლას და გახუთილო წარბის ფსად მდოგაფეე.

**ალბათ, უმეტესად რუსულ წარმომების იარაღ გავით?**

— დიახ, „კალაშნიკოვის“, „აკაქისის“, „აკაქისის“ ავტომატები გვაქვს. წერისბის დროს ატ-30, პიპ-7 ტრბის ყუმბარ-სატორცენებიც გვაყოფიყენებია. ზამთარში, საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ დაგვირგობეს პიპ-29, როგორც ბატალიონის მეთაურმა ვეითხრა, ამ იარაღის ერთი ჭურფის ფასი 125 დოლარია. (მე სახიფის შეიარაღების ვასხვლებს, რომლებიც თავად ვნახე), გვაქვს „კალაშნიკოვის“ ლულის ქვეშა ყუმბარ-სატორცენებიც. მძიმე ტრეპიკიდან წყნის წარმოები T-72 ტრეპები გვაქვს. ბავშვებისა ვიცი, რომ რამდენიმე ჯეჟმანტრანსპორტიორი არიცებთა, მაგრამ სწულელების

დროს არ გამოვიყენებია. რუსებს წყენში შეღარებით ძლიერი სამხედრო ტეჩნიკა აქვთ, მაგრამ წყენთვის არ არის ხელმისაწვდომი.

**— მაშინ წვრონიებში არ შეიარაღების იყენებთ?**

— აფხაზურ სამხედრო ტეჩნიკას, რომელიც ასევე რუსული წარბების არის, მაგრამ ოფიციალურად აფხაზეთის საკუთრებაა.

**— თემურ, ყოფითი პრობლემები რუს ჯარისკაცებსაც აქვთ?**

